



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 98

2016 წლის 24 აპრილი

ქ. თბილისი

2016 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური
სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მეორე ნაკადზე გამარჯვებული
პროექტების დამტკიცების შესახებ

„მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის
წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 20 თებერვლის
N30 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა
და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010
წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „მ“
ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო
გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი
სპეციალისტების ნინო დემეტრაშვილის და ლოლიტა შენგელიას სამსახურებრივი ბარათის (N545434,
24.05.2016) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2016 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით მოკლევადიანი
ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მეორე ნაკადზე
გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი)
იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართით
გათვალისწინებულ პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი
კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 10 ივნისისა.
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება
ფონდის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

**მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების
კონკურსში (II ნაკადი) გამარჯვებული პროექტები**

N	პროექტის შიფრი	ღონისძიების დასახელება
1	tg16_3_033	მსოფლიოს მულტიდისციპლინარული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სიმპოზიუმი (WMESS2016)
2	tg16_4_062	მე-3 მსოფლიო კონგრესი ფარმაკოლოგიაში
3	tg16_2_134	21-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებების ხსნარებში
4	tg16_2_042	მე-18 საერთაშორისო კონფერენცია მასალათა ინჟინერია და ტექნოლოგია
5	tg16_2_016	მე-14 კონფერენცია ინტეგრალურ მეთოდებში მეცნიერებასა და ინჟინერიაში (IMSE2016)
6	tg16_5_077	კვების მეცნიერების და ტექნოლოგიის პირველი შავი ზღვის ასოციაციის კონგრესი (B-FoST კონგრესი)
7	tg16_7_099	ღონისძიება: საერთაშორისო აკადემიური კონფერენცია განათლებისა და სოციალური მეცნიერებების საკითხებზე;
8	tg16_3_103	საერთაშორისო კონფერენცია / „ფოლადის ბაგირების წარმოება და გამოყენება - პრობლემები და გადაჭრის გზები“
9	tg16_2_031	მაღალენერგიული გამა-ასტრონომიის მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმი
10	tg16_3_093	XIII საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე აფეთქებით ახალი მასალების მიღება: მეცნიერება, ტექნოლოგიები, ბიზნესი და ინოვაციები
11	tg16_2_027	ევროპის აკაროლოგთა მე-8 სიმპოზიუმი
12	tg16_2_124	მე-16-ე საერთაშორისო ინტერდისციპლინარული სემეცნიერო გეოკონფერენცია და ექსპო სგემ2016
13	tg16_3_041	მე-18 საერთაშორისო კონფერენცია მასალათა ინჟინერია და ტექნოლოგია